ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

16-43

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № _____

"5" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება თანდართული რედაქციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო – საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 19 აგვისტოს №12-36 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება

მუხლი 1. გამოყენების სფერო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისი №412 დადგენილების შესაბამისად და განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში – საკონკურსო–საატესტაციო კომისია) საქმიანობის წესს.

მუხლი 2. კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. კომისიის საქმიანობის მიზანია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად, თბილისის საკრებულოს აპარატში მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის, აგრეთვე თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარება.

2. კომისიის ფუნქციებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონკურსის და ატესტაციის ჩატარება;

ბ) პირის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურის წარმართვა;

გ) თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, კონკურსის პროგრამის, ეტაპების, პირობების, შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა;

დ) თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ატესტაციის ჩატარების ფორმების და შეფასების ფორმულარების განსაზღვრა;

ე) თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვარის დადგენა;

ვ) კონკურსის შედეგების მიხედვით, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენა ან მის წარდგენაზე უარის თქმა;

ზ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის კონკურსანტის/ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

2. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე, აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ თბილისის საკრებულოს წევრები, მოხელეთა პროფესიული კავშირების წევრები, დამოუკიდებელი სპეციალისტები (პირები, რომლებიც სამსახურებრივად არ არიან დაკავშირებული თბილისის საკრებულოსთან) და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობაში ასევე შესაძლებელია მონაწილეობდნენ ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირები.

3. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

4. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიისათვის კონსულტაციების გაწევის მიზნით, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოწვეული იყვნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები.

5. კომისიის მოწვეულ წევრთა და დამოუკიდებელ სპეციალისტთა შრომა შესაძლებელია ანაზღაურდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შეფასება/შერჩევა.

7. კომისიის წევრთა აცილებისა და თვითაცილების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 4. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის საკრებულო. კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, ინიშნება თბილისის საკრებულოს

თავმჯდომარე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას;

ბ) წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

გ) კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში;

დ) კონკურსისა და ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უფლებამოსილია შექმნას კომისიის სამდივნო;

ე) უფლებამოსილია შექმნას კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა და დანიშნოს მისი თავმჯდომარე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით;

ვ) თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს კონკურსისა და ატესტაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას;

თ) უზრუნველყოფს ჩატარებული კონკურსის/ატესტაციისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენას საჯარო სამსახურის ბიუროში;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

კ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა

1. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია შექმნას კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა.

2. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის თავმჯდომარესა და წევრებს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

3. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ატარებს კონკურსის/ატესტაციის ეტაპებს (ტესტირება, გასაუბრება და სხვა) და კომისიისთვის ამზადებს დოკუმენტების პროექტებს. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განიხილება და მტკიცდება კომისიის მიერ.

4. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა გადაწყვეტილებებს იღებს ამ დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 6. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. კომისიის წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისია ასევე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ქულათა სისტემით, ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული შემადგენლობით.

4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) განცხადების გადარჩევა, რომელიც წარმოადგენს პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება;

ბ) წერითი დავალება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით და შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ საკითხებს;

გ) ტესტირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას;

დ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე.

მუხლი 8. ატესტაციის ეტაპები

1.ატესტაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) ტესტირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას;

ბ) წერითი დავალება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით და შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ საკითხებს;

გ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

2. ატესტაციის ჩატარების ფორმებს, შესაბამისი შეფასების ფორმულარებს, სატესტო მეთოდიკებსა და თემატიკას, მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

მუხლი 9. კომისიის სამდივნო

1. კონკურსისა და ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, ამასთან, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად შექმნას კომისიის სამდივნო (შემდგომში -სამდივნო).

2. სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე. სამდივნოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეები და საჭიროებისამებრ, შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პირები.

3. სამდივნო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით:

ა) ორგანიზებას უწევს და ტექნიკურად უზრუნველყოფს კომისიის სხდომების მომზადებას;

ბ) უზრუნველყოფს კონკურსთან და ატესტაციასთან დაკავშირებით გამოცემული სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას;

გ) კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის წევრებს უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტებითა და ინფორმაციით;

დ) უზრუნველყოფს კომისიაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას, სისტემატიზაციასა და სათანადო კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრთა ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს.

4. კონკურსის ან/და ატესტაციის ეტაპების ჩატარებისათვის და სამდივნოს ფუნქციების შესასრულებლად კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიყენოს სხვა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები.

5. კონკურსის ან ატესტაციის დასრულების შემდეგ სამდივნო წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 10. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის/ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიების განხილვის მიზნით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიძლება შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

3. საპრეტენზიო კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 11. თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ატესტაციისა და კონკურსის ჩატარების დროებითი წესი

1. 2015 წლის 1 ივლისამდე თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად გასავლელი კონკურსის და თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპია კონკურსის მონაწილის/მოხელის ტესტირება.

2. 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკა, თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით.

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მიღება, რომელთა შესაბამისადაც უნდა იქნეს მიღებული საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი.

პროექტის შესაბამისად კომისიის ფუნქციებს წარმოადგენს: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონკურსის და ატესტაციის ჩატარება; პირის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურის წარმართვა; თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, კონკურსის პროგრამის, ეტაპების, პირობების, შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა; თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ატესტაციის ჩატარების ფორმების და შეფასების ფორმულარების განსაზღვრა; თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვარის დადგენა; კონკურსის შედეგების მიხედვით, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენა ან მის წარდგენაზე უარის თქმა; თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის კონკურსანტის/ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

ამასთან პროექტით განსაზღვრულია საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შემადგენლობის ფორმირების წესი, კონკურსის და ატესტაციის ეტაპები, კომისიის სამდივნოს ფუნქციები, საპრეტენზიო კომისია, თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ატესტაციისა და კონკურსის ჩატარების დროებითი წესი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) პროექტის საფინანსო–ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

დ) პროექტის ავტორი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – თევდორე კობახიძე.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – თევდორე კობახიძე.